ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 38
31/08/2015

38-08-4-201508311733

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge 28/07/2014 სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.114.016200, .) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,გ) ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური;"

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს ,,ი" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ი) არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;"

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,3.ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის ფუნქციებია: ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამის

მომზადების, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვა, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადება, მათი განხორცილების კოორდინაცია. მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი ობიექტების პროექტებისა და მშენებლობის კოორდინაცია".

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლს დაემატოს მე-12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,12. არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის სივრცითი, ტერიტორიული დაგეგმვა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავება, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადება, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობა".

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა